



საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის

ბ ა ნ კ ა რ ბ უ ლ ე ბ ა

2019 წლის 4 ოქტომბერი

№ 81


თბილისი

სს „მ2 უძრავი ქონების“ (ს/ნ: 204517399) ობლიგაციების ემისიის საბოლოო პროსპექტის დამტკიცებისა და ფასიანი ქაღალდებისათვის საერთაშორისო საიდენტიფიკაციო ნომრის მინიჭების თაობაზე

„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის, ამავე კანონის 52-ე მუხლის „ა“ და „დ“ ქვეპუნქტების, „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-11 და მე-15 პუნქტების, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 12 ოქტომბრის N226/04 ბრძანებით დამტკიცებული „საწარმოთა აქციებისა და ობლიგაციების ემისიის პროსპექტის და ფასიანი ქაღალდების ემისიისა და განთავსების შესახებ ანგარიშის წარდგენის წესის“ მე-3 მუხლის, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2011 წლის 7 სექტემბრის N73/04 ბრძანებით დამტკიცებული „ფასიანი ქაღალდების საიდენტიფიკაციო ნომრის მოთხოვნის, მინიჭების ემისიის დამტკიცებული პროსპექტის და საჯარო შეთავაზების თაობაზე შეტყობინების რეგისტრაციის წესის“ მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის, მე-4 მუხლის მე-7 პუნქტისა და მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე:

1. დამტკიცდეს სს „მ2 უძრავი ქონების“ (ს/ნ: 204517399) ობლიგაციების ემისიის საბოლოო პროსპექტი.
2. დამტკიცებული ემისიის საბოლოო პროსპექტის რეგისტრაცია განხორციელდეს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.
3. სს „მ2 უძრავი ქონების“ (ს/ნ: 204517399) ახლად ემიტირებულ სასესხო ფასიან ქაღალდებს მიენიჭოს საერთაშორისო საიდენტიფიკაციო ნომერი: GE2700603865.

4. წინამდებარე განკარგულების გამოცემიდან 3 დღის ვადაში ეცნობოს სს „მ2 უძრავი ქონებას“ (ს/ნ: 204517399) ახლად ემიტირებული ფასიანი ქაღალდებისათვის საიდენტიფიკაციო ნომრის მინიჭების თაობაზე.
5. აღნიშნული განკარგულების გასაჩივრება შეიძლება თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6) მხარისათვის მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.
6. ეს განკარგულება ამოქმედდეს მხარისათვის გაცნობისთანავე.



კობა გვენეტაძე